

ფოთის ბაზრის ქიშკარი თავისუფალია

გვ. 2

ელენე გვაზავას ოჯახის გაჭირვება და წინასაარჩევნო დაპირებები, რომლებიც არ შესრულდა

გვ. 4



სენაკში სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერების დარიგება დაიწყო

გვ. 2


# მთავარი თემა სამეგრელოში

fasi 50 TeTri   # 3   10-17 marti   2014 weli   gamodis samSabaTobiT


## რას საქმიანობს საქველმოქმედო ორგანიზაცია ალიანსი ,,ოქროს საწმისი,,

ლობირებს თუ არა მას ფოთის მაჟორიტარი?

გვ.3

## ,,ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია.. ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია, ამის შემხედვარემ სიცოცხლეზე იფიქრო,,

გვ. 5

## სენაკის ბიუჯეტის პრიორიტეტად შიდა გზების მოწესრიგება განისაზღვრა

გვ. 4

## გიორგი მანჯავიძე- ვიტალი ვახანიას ტურნირის გამარჯვებული

გვ. 7


აქ თქვენი რეკლამის და



მცირე განცხადებების ადგილია


# ვინ ვის ნიშნავს და ათავისუფლებს ფოთის მერიაში

## ორ დღეში ორჯერ შეცვლილი გადაწყვეტილება





ელზა შონია
ფოთი

მას შემდეგ,რაც ფოთის აწ უკვე ყოფილმა მერმა დავით სარსანიამ თანამდებობა დატოვა, ფოთის მერიაში ვერა და ვერ დაადგინეს,ვინ ვისი და რისი მოვალეობის შემსრულებელია. ამ თემამ უკვე სხვა უფრო მნიშვნელოვანი და ქალაქისთვის სასიცოცხლო საკითხებიც კი გადაფარა. სარკაზმის გარეშე შეუძლებელია შეფასდეს სასამართლოს მიერ ორ დღეში ორჯერ შეცვლილი გადაწყვეტილება. საქმე ძალიან მარტივადაა და საგანგებოდ მოქსოვილ აბლაბუდაში გახვეული საჯარო მოხელეებისთვის და არა მარტო მათთვის, ამ ქსელის მქსოველთა ვინაობაც ნათელია. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. მანამდე კი სკამის დროებით “გამთბობთა” ვინაობა ყოველდღიურად იცვლება, ვინ ვისთვის მუშაობს და რის მიღწევას ცდილობენ ამით, აშკარაა. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ მიმდინარე წლის 14 მარტს კოალიცია “ქართული ოცნების” ფოთის საქალაქო ორგანიზაციის სხდომა იგეგმება, სადაც უნდა აირჩიონ ორგანიზაციის ახალი თავმჯდომარე. სავარაუდოდ, ამ ადგილს ფოთის მაჟორიტარის ბიუროს ყოფილი უფროსი ზურაბ ჩაჩუა დაიკავებს, ხოლო ამჟამინდელი თავმჯდომარე ირაკლი კაკულია ფოთის მერობაზე იყრის კენჭს. სანდო წყაროს ინფორმაციით, სწორედ ამ გზით შეეცდებიან მოიყვანონ საკრებულოში პარტიული სიით ნომერ პირველი - ზურაბ ჩაჩუა. მანამდე კი მოგიყვებით, როგორ იცვლება ორ დღეში ორჯერ ფოთის მერიასა და საკრებულოში მიღებული გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების უკანონოდ ცნობა და შემდეგ კვლავ კანონიერად აღიარება. ამა წლის 3 მარტს, ფოთის საქალაქო სასამართლომ უკანონოდ ცნო თვითმმართველობის გადაწყვეტილება –ირაკლი კაკულიას ფოთის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ და მას უფლებამოსილება შეუჩერა. 5 მარტს კი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მერის მოვალეობის შემსრულებელმა ვასილ თოდუამ, რომ ორივე გასაჩივრებული აქტი, (იგულისხმება დავით ბაბილუას მიერ გაცემული ბრძანება ვასილ თოდუას ვიცე მერის მოვალეობის შესრულებიდან გადაყენების და ვასილ თოდუას ბრძანება №60 ირაკლი კაკულიას ვიცე მერის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის თაობაზე), აღსრულებულია, რაც სასამართლოსთვის ცნობილი არ იყო. მისთვის ეს ახალ გარემოებას წარმოადგენდა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს 2014 წლის 3 მარტის განჩინების მე-3 პუნქტის გაუქმე-

დასასრული მე-3 გვ.

gamomcemeli da direqtori
inga gvasalia - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

redaqtori
elza Sonia - 598 622 807

სტილისტ-კორექტორი - maia CxeiZe - 591 145 709

დისტრიბუციის სამსახურის უფროსი
inga WiTanava
597 39 19 72

კორესპონდენტები:
Teona janaSia (senaki) 592 61 33 14
giorgi seskuria (zugdidi) 555 14 76 24
ana SongiraZe (Cxorowyu) 599 88 97 17

gamoqveynebuli masalis Sinaarsi SeiZleba ar emTxveodes redaqciis Tvalsazriss. Statiis avtorebi Tavad ageben pasuxs informaciis sizusteze. redaqciaSi audio masalebi inaxeba ori kviris ganmavlobaSi, am vadis gasvlis Semdeg pretenziebi ar miiReba.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშ-



ნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეენბის მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -1,73 ლარი ღირს, ერთი ევრო - 2,4 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

# ფოთის ბაზრის ჭიშკარი თავისუფალია

**ელზა შონია**
**ფოთი**



უკვე რამდენიმე დღეა, ფოთის ბაზრის ცენტრალური შესასვლელი ჭიშკარი თავისუფალია და იქ წლობით ბარიკადებივით "გამაგრებულმა" დახლებმა გზის მოპირდაპირე მხარეს გადაინაცვლეს. ეს საკითხი წლებია "აქილევსის ქუსლად" რჩებოდა ბაზარში და ჭიშკრის გათავისუფლება ვერა და ვერ ხერხდებოდა. ყველას ახსოვს, აქ მოსული არაერთი ხელისუფლების წარმომადგენლის, მათ შორის მერების ვიზიტი და თხოვნა თუ მოთხოვნა გადასულიყვნენ პურის გამყიდველი ქალბატონები გზის მეორე მხარეს და იქ დამჯდარიყვნენ, მაგრამ მათი ლაპარაკი რჩებოდა "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა" და საკითხი ისევ მოუგვარებელი რჩებოდა. ის კი არადა, მოვაჭრე ქალბატონები თვითმკვლელობითაც კი იმუქრებოდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ სხვა მხარეს გადასვლით შემოსავლის წყაროს გარეშე დარჩებოდნენ. ახლა კი ადრე მობობოქრე ქალბატონებმა, ყველას გასაოცრად, სრულიად უხმაუროდ დატოვეს ბაზრის შესასვლელი. ბაზრის ადმინისტრაცია უსაფრთხოების ნორმების დაცვისთვის ბრძოლას აგრძელებს. როგორც უკვე ცნობილი გახდა, მერიის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა მისცა დავალება სახანძრო სამსახურს, შეადგინოს ნახაზი, რამდენად არის დაცული ბაზარში უსაფრთხოების ნორმები. სახანძრო სამსახურის თქმით, ნორმები არ არის დაცული და დარღვეულია, მაგრამ ოფიციალურად დაწერილი დასკვნა ამის შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს. დასკვნის შემდეგ პოლიცია უფლებამოსილია გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ტერიტორიის მოსაწესრიგებლად. მხოლოდ ამის შემდეგ დაიკავებს ყველა მოვაჭრე თავის ადგილს დადგენილი წესების შესაბამისად.



# ლალი ანთია გადავადებული სასჯელის მოხდის მიზნით დააკავეს

ზუგდიდში არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალები მშვიდობისთვის" ლიდერი ლალი ანთია, 10 მარტს დილით დააკავეს. თავდაპირველად სამართალდამცავები მისი დაკავების მოტივს ოფიციალურად არ ასახელებდნენ. როგორც კულუარებში ამბობდნენ ლალი ანთიას დაკავება სავარაუდოდ ძველ ბრალდებებს უკავშირდებოდა, რისთვისაც ანთიამ სასჯელი ნაწილობრივ მოიხადა. მოგვიანებით კი შინაგან საქმეთა სამინისტრომ ანთიას დაკავებასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა. „ლალი ანთია დაკავებული იყო თაღლითობის ბრალდებით და მას გარკვეული პერიოდი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გატარებული ჰქონდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, სასჯელი გადავადებული ჰქონდა".

მათივე ინფორმაციით, „ლალი ანთიას სასჯელაღსრულების სისტემაში კვლავ შებრუნების შესახებ სამართალდამცველებს სასამართლომ მიმართა."

ანთიას დაკავებასთან დაკავშირებით იმავე დღესვე ზუგდიდში „ქალები მშვიდობისთვის" ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა კავშირის" ხელმძღვანელმა ინგა ქარდავამ ანთიას დაკავება მის საქმიანობას დაუკავშირა. ქარდავას განმარტებით, უახლოეს დღეებში ზუგდიდში პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ვიცე-პრემიერი კახა კალაძე აპირებენ ჩამოსვლას და ლალი ანთია მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებას გეგმავდა. სწორედ ამ ფაქტს უკავშირებს ქარდავა ანთიას დაკავებას. იგი უკვე რუსთავის ქალთა კოლონიაშია გადაყვანილი.

მოგვიანებით ზუგდიდის საქალაქო სასამართლომ ლალი ანთიას დაკავებაზე ინფორმაცია გაავრცელა. საქმის მასალების მიხედვით, ანთიას ბრალი თაღლითობის მუხლით წარედგინა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლისა და 6 თვის ვადით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე, მიიღო გადაწყვეტილება სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად მსჯავრდებულის შესაბამის დაწესებულებაში გაგზავნის შესახებ.

გარდა ამისა, მსჯავრდებულ ლალი ანთიას მიმართ გავრცელდა 2012 წლის 28 დეკემბრის "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება და დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით, საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 7 წლისა და 8 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

# სენაკში სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერების დარიგება დაიწყო

**თეონა ჯანაშია**
**სენაკი**

გასული წლის მსგავსად სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერების დარიგება უკვე დაიწყო. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა გაგვიჩნდა - რა სახის ვაუჩერებია, რა შედის ამ ვაუჩერებში, ბანკში რატომ ღებულობენ აგრობარათს, შარშან უფრო მეტი დაფინანსება იყო ამ კუთხით თუ წელს და ა.შ... სანამ ამ კითხვებზე პასუხებისთვის სპეციალურ სამსახურს მივმართავდით, სოფლის მოსახლეობას გავესაუბრეთ.

როგორც გავარკვიეთ, უმრავლესობას არა აქვს ზუსტი ინფორმაცია ვაუჩერებთან დაკავშირებით, ზოგმა საერთოდ არ იცის, ეკუთვნის თუ არა აგრობარათი, ზოგს შარშანდელი ვაუჩერიც არ მიუღია და დღემდე ვერ გაურკვევია, რატომ. ზოგმა კი, შარშანაც მიიღო ვაუჩერი, წელსაც და კმაყოფილიც არიან მთავრობის ამ პროგრამით. „ჩვენ კმაყოფილები ვართ ვაუჩერებთან დაკავშირებით. დები ვართ, ერთად ვცხოვრობთ მენჯის თემში. გვაქვს მიწის ნაკვეთი 4000 მეტრი. შარშანაც მივიღეთ ვაუჩერები და წელსაც. ერთი ტომარა სასუქი არ გვეყოფა წელს, მაგრამ ჩვენი ძალებით დავამატებთ. ეს ხომ საჩუქარია მთავრობისგან. დიდი მადლობა ასეთი ხელშეწყობისთვის"- თავისი მადლიერება გამოხატა ჩვენთან საუბარში სოფელ მენჯის მცხოვრებმა დალი ერაგიამ.

„მივიღე ერთი ვაუჩერი, სახნავი. მეორე 50 ლარიანი ვაუჩერი გვეკუთნის თუ არა, არ ვიცი. სად უნდა მივიდეთ ამის გასაგებად, არც ეს ვიცი. 1 ჰ და 250 მ მიწა მაქვს. შარ-



შან მივიღეთ ვაუჩერი"- გვითხრა სოფელ ზანის მცხოვრებმა ელზა ჯალაღონიამ. სოფელ 1 ნოსირის მცხოვრები ლამარა კვაშილავა როგორც ამბობს გასულ წელს არ მიუღია ვაუჩერი, წელს კი ეს შეცდომა გამოსწორდა, თუმცა საკმარისი არ არის: „შარშან ვაუჩერები საერთოდ არ მომცეს. წელს მომცეს სახნავი ვაუჩერი. ახლა ბანკში ავიღე ბარათიც. ამით თურმე შე-

დასასრული მე-4 გვ.

# რას საქმიანობს საქველმოქმედო ორგანიზაცია ალიანსი ,,ოქროს საწმისი,,

## ლობირებს თუ არა მას ფოთის მაჟორიტარი?

**ელზა შონია**
**ფოთი**

ადგილობრივ მედიასაშუალებებში ხშირად ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ,რომ რამდენიმე თვის წინ შექმნილი საქველმოქმედო ორგანიზაცია "ოქროს საწმისი", რომლის დირექტორი თეა ბელქანია გახლავთ, ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის პიარისთვის სწორედ მისი ზეწოლით ახორციელებს სხვადასხვა საქველმოქმედო აქტივობებს. ამ თემას აქტიურად განიხილავდნენ ქალაქშიც, რადგან "ოქროს საწმისის" მიერ მრავლად ჩატარებულ თითქმის ყველა ღონისძიებაზე იმყოფებოდა მაჟორიტარი ეკა ბესელია,თუმცა ორგანიზაციიის ხელმძღვანელიც და მისი ძირითადი დამფინანსებელი,ბიზნესმენი ნოდარ კორსანტია ცალსახად უარყოფენ ამ საქმესთან მაჟორიტარის კავშირს და ამტკიცებენ, რომ, არათუ ვინმეს,არამედ საკუთარი პიარისთვისაც არ იყენებენ ქველმოქმედებას. როგორც თავად გვიმტკიცებენ უკვე წლებია , შპს "ლუკა", ანუ ფოთის აგრარული ბაზარი, მისი ყოფილი მფლობელი, ბიზნესმენი ნოდარ კორსანტია, რომელსაც "ნაციონალურმა" მთავრობამ ქონება უკანონოდ ჩამოართვა,ქველმოქმედებას ეწევა. მათ გამუდმებით ჰქონდათ პრობლემები მაშინდელ ადგილობრივ მთავრობასთანაც. აღნიშნული თემა ჩვენ არაერთხელ გავაშუქეთ. შპს "ლუკას " დირექტორი, თეა ბელქანია, რომელიც ასევე არის ზემოხსენებული საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მედიაში გაჟღერებულ ინფორმაციებს ჩვენი გაზეთიდან პასუხობს: "მინდა ვუპასუხო ყველას, ვინც ამბობს,რომ ჩვენ ვინმეს პიარს ვემსახურებით და იმიტომ ვეხმარებით ხალხს, ან ბაზრის თემის ამოწევას ვცდილობ. მინდა ვუთხრა ყველას, ვინც დაინტერესებულია ამ საკითხით, რომ ბაზრის პრობლემები ახალი არ არის და ბიზნესმენი კორსანტიას დადანაშაულება ნაციონალებთან ალიანსში არასწორია, საერთოდ, არანაირი კავშირი პარტიებთან არ ჰქონია ჩვენს უწყებას. ჩვენ გამოვდიოდით "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ, ვედავებოდით სასამართლოში და ეს დავაც დღემდე გრძელდება. კონკრეტული ლიდერების გამოჩენამდეც ფოთის აგრარული ბაზარი გამოირჩეოდა აქტიურობით, ეწეოდა ქველმოქმედებას,რომელშიც მუდამ იყო ჩართული მთავრობა,ეს ჩვეული ფორმატია. მტკნარი სიცრუეა, თითქოს ჩვენ "ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ გავაქტიურდით. სიმართლეა, რომ ახალ მთავრობას არ სჭირდება მხოლოდ პიარი და გამოჩნდა ბიზნესმენის საქმიანობაც, რომელიც ყველა დროში ეხმარებოდა გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს, მაგრამ არ ჩანდა აქამდე. რაც შეეხება ჩვენს კავშირს მაჟორიტარის ბიუროსთან - განვმარტავ, მაჟორიტარის ბიუროში უამრავი მოქალაქის განცხადება შედის, რომლებიც დახმარებას ითხოვენ, ჩვენ ვთხოვეთ ბიუროს გადმოამისამართონ ჩვენთან ასეთი მოქალაქეები,



რათა დავეხმაროთ. რაც შეეხება ღონისძიებებს, ჩვენ წინასწარ ვაანონსებთ ჩვენს გვერდზე და ყველას აქვს დასწრების უფლება, მათ შორის მაჟორიტარსაც. ამ თემებით უბრალოდ სპეკულირებენ. დანაშაულს ვერ ვხედავ იმაში, რომ ადამიანებს ვეხმარებით. ჩვენ მაჟორიტარის ბიურო გვიწევს შუამავლობას იმ ადამიანებთან, ვისაც სჭირდებათ დახმარება, ესაა და ეს"- გვითხრა თეა ბელქანიამ.

# ვინ ვის ნიშნავს და ათავისუფლებს ფოთის მერიაში

## ორ დღეში ორჯერ შეცვლილი გადაწყვეტილება

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

ბა მოსთხოვა. ახლად აღმოჩენილი გარემოებების ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს სსკ-ის 423-ე მუხლში. სასამართლოს ეცნობა, იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, გამოიწვევდა მოპასუხე მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებების გამოტანას. სარჩელზე დართულ მასალებში მოიპოვება თვითმმართველი ქ.ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვასილ თოდუას 2014 წლის 21 თებერვლის №60 ბრძანება "დროებით არ მყოფი მოხელის თანამდებობაზე თვითმმართველი ქ.ფოთის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად ირაკლი კაკულიას დანიშვნის შესახებ". ეს ბრძანება გაეგზავნა კაკულიას, ხოლო როდის ჩაბარდა, გაურკვეველია. 5 მარტის შუამდგომლობაზე დართული ცნობით (№1-07/661) ცნობილი ხდება, რომ მერის მოადგილის მოვალეობის შესრულებას ირაკლი კაკულია მიმდინარე წლის 21 თებერვლიდან შეუდგა. ვასილ თოდუას შუამდგომლობის საფუძველზე დადგინდა, რომ ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 21 თებერვლის ბრძანება №60 აღსრულებულია და მისი შეჩერება მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს ირაკლი კაკულიას კანონიერ უფლებას. ზემოხსენებული ბრძანება დავის საგნიდან გამომდინარე უშუალო კავშირშია გასაჩივრებულ მეორე ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტთან- საკრებულოს თავმჯდომარის დავით ბაბილუას 2014 წლის 18 თებერვლის №82 ბრძანებასთან ვასილ თოდუას მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ორივე ბრძანების განხილვა უნდა მოხდეს ერთდროულად, მოქმედების შეჩერების გარეშე. საბოლოოდ სასამართლომ დაადგინა, რომ თვითმმართველი ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 მარტის განჩინების მე-3 ქვეპუნქტი.

ამჟამად ფოთის მერის მოვალეობას ისევ ვასილ თოდუა ასრულებს. მისი თქმით, აქ აღწერილ პროცედურებში არანაირი სამართლებრივი დარღვევა არ ყოფილა და მან სასამართლოს იმიტომ მიმართა შუამდგომლობით, რომ თავად არ სურს ორი ხელფასის აღება. როგორც ცნობილია,კაკულიასთვის საგანგებოდ მეოთხე ვიცე მერის შტატის დამატების იდეა საკრებულომ არ მოიწონა და სხვა გზით ვერანაირად ვერ ხერხდებოდა კაკულიას შეყვანა მერიაში. აშკარაა, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ სწორედ ამიტომ გადააყენა ვასილ თოდუა მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან და ეს ადგილი დაიკავა კაკულიამ. როგორც თოდუამ გვითხრა: "არ მინდოდა ორი ხელფასი და ამიტომ გავთავისუფლდი მოადგილეობიდან და ვასრულებ მერის მოვალეობას. დღეისათვის მაქვს ერთი ფუნქცია, ვარ მერის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო მოადგილის მოვალეობის შესასრულებლად დაინიშნა სხვა პირი. რას ხედავს ვინმე ამაში განსაკუთრებულს? ბიუჯეტს ამით ზარალი არ მიადგა, დამატებით გასათვალისწინებელი არაფერი იყო. შესაბამისად, იმ ფუნქციას, რომელსაც მე ვითავსებდი, ასრულებს ირაკლი კაკულია".

ამ საკითხით სხვა თემების საგანგებოდ მიჩქმალვის მცდელობაზე საუბრობს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მაგდა მენაბდე: " ახალმა ხელისუფლებამ მთელი ფოთი დაიყვანა იმ თემამდე, ვინ უნდა იყოს ქალაქის მერი? ვის რომელი გუნდი უშლის ხელს და ასე შემდეგ. ეს კეთდება პრობლემების გადასაფარად. მაშინ, როდესაც წელიწადნახევარია ფოთში თითი არაფრისთვისაა დაკარებული. რაც დაწყებული იყო, ისიც დაუმთავრებელია. ასაჩივრებს ორივე კომპანია, რომელიც აკეთებდა ტროტუარს და სტადიონს. არ კეთდება არაფერი ბიუჯეტის შევსებისთვის. ყოველდღიურად უფრო და უფრო რთულ სიტუაციაში ვვარდებით. მივმართავ ამ ქალაქში მცხოვრებ ყველა თავმოყვარე ადამიანს არ უსმინონ იმათ, ვინ რას დაწერს სხვადასხვა მოგონილი შაბლონური გვარ-სახელებით ფეისბუქის გვერდზე. უმჯობესია მოქალაქეებს აწუხებდეთ ის, რომ ნაგავი დროულად არ არის გატანილი, მათი ჭიშკრის წინ ლამპიონი არ ანათებს, გზა ყოველდღიურად უარესდება და ორმული შეკეთება რომ უკვე აღარ შველის. ის, რომ ტროტუარი ვერ კეთდება ქალაქის მთავარ ქუჩაზე. ეს ის საკითხებია, რომელიც უშუალოდ თითოეულ მოქალაქეს ეხება. ხალხი დააჩლუნგეს ბესელია-სარსანია-კაკულიას თემით. დროა, მოქალაქეობრივი თავმოყვარეობის საკითხი დადგეს სიმაღლეზე, გავიხედოთ გარეთ, ფოთი უკვე აღარ არის ქალაქი".

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სავარაუდო თარიღი უკვე ცნობილია - 15 ივნისი. ამ დრომდე მხოლოდ სამი თვე რჩება და ვინ იცის, მანამდე კიდევ ვის რამდენჯერ და სად "გადააყენებენ" ფოთის მერიაში?!



ფოთის საქალაქო სასამართლო
ფოთი, აღმაშენებლის ქ.№ 3

№030310514443816 03.03.2014

1604

სამოქალაქო განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრი
მისამართი: ქ.ფოთი, პუშკინის ქ.№31

გეგზავნებათ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 03 მარტის განჩინების ასლი სარჩელის წარმოებაში მიღებისა და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ №030310514443816 ადმინისტრაციულ საქმეზე.

**დანართი**: განჩინება "03" ფურცლად

**პატივისცემით**

**ფოთის საქალაქო სასამართლოს**

**მოსამართლის თანაშემწე:** **თამარ თოდუა**



სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-13, 29-ე, 30-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-179-ე, 183-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სარჩელი მიღებულ იქნეს სასამართლო წარმოებაში.
2. დაიწყოს მოცემული საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, მოპასუხეს გადაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების (საბუთების) ასლები.
3. თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 18.02.2014 წლის №82 ბრძანებისა და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის 21.02.2014 წლის №60 ბრძანების მოქმედება კანონისმიერად ჩერდება.
4. განჩინებაზე, სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ, კერძო საჩივარი არ დაიშვება.

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების: თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის 18.02.2014 წლის №82 ბრძანებისა და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის 21.02.2014 წლის №60 ბრძანების, მოქმედების შეჩერების თაობაზე დაიშვება კერძო საჩივარი, შესაბამისად, განჩინება ამ ნაწილში შეიძლება კერძო საჩივრით გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქუთაისი, ნიუპორტის ქ.№32), დასაბუთებული განჩინების მხარისათვის გადაცემიდან 12 დღის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.№3).

**მოსამართლე** **/ხელმოწერილია/** თეიმურაზ სიხარულიძე
ასლი სწორია
მოსამართლის თანაშემწე თამარ თოდუა

# სენაკის ბიუჯეტის პრიორიტეტად შიდა გზების მოწესრიგება განისაზღვრა

**თეონა ჯანაშია**
**სენაკი**

სენაკის მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის წელს რა თანხები მოიაზრება, ამის გასარკვევად მივმართეთ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილეს თენგიზ ლომიას. მართალია, იგი ინტერვიუზე ვერ დავითანხმეთ, მაგრამ ყველა საჭირო ინფორმაცია მოგვაწოდა ადგილობრივ თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებზე. უფრო კონკრეტული ინფორმაცია კი სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა დონარა ალანიამ მოგვაწოდა. როგორც გავარკვიეთ, სენაკის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 6493, 3 ათასი ლარის ოდენობით. აქედან ინფრასტრუქტურის მშენებლობას, რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციას 757,0 ათასი ლარი მოხმარდება. კულტურული, რელიგიური, ახალგაზრდულ, და სპორტული ღონისძიებებისათვის 1223,0 ათასი ლარი დაიხარჯება. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისთვის 570,6 ათასი ლარი გამოიყოფა. თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 428,7 ათასი ლარი უზრუნველყოფს. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი 2419,0 ათასი ლარით განისაზღვრა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2014 წელს მუნიციპალიტეტს, სავარაუდოდ, გამოეყოფა 5,4 მილიონი ლარი. მათ შორის რეგიონული განვითარების ფონდიდან 4,5 მილიონი ლარი. იგეგმება ასფალტის საფარის დაგება 16,4 კმ. მანძილზე, აქედან ქალაქში დაიგება 6,4 კმ. და სასოფლო გზის 10 კმ-ზე, მოეწყობა ნაპირსამაგრი სამუშაოები, აშენდება ბეწვის ხიდი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის-23 900 ათასი ლარი გამოიყოფა და მოხმარდება დაზიანებული შენობების სახურავების რეაბილიტაციას.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან, სავარაუდოდ, გამოიყოფა 158 000 ლარი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოსაწესრიგებლად. 12 000 ლარი თანადაფინანსებით გამოყენებული იქნება უშაფათის თემში ამბულატორიის ასაშენებლად. შეკეთდება ორი საბავშვო ბაღი. იგეგმება ქალაქის ტროტუარების რეაბილიტაცია, განახლდება საგზაო ნიშნები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამების განსახორციელებლად, სავარაუდოდ, გამოიყოფა 662,3 ათასი ლარი.

ეს არის მთლიანი მონაცემი, რაში დაიხარჯება ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები.

ქალაქის რომელ ქუჩებზე და რა მონაკვეთებზე დაიგება ასფალტის საფარი და რა თანხაა კონკრეტულად ყველა ამ ქუჩის სამუშაოებისთვის გამოყოფილი - არჩაიას ქუჩის ზედა მონაკვეთი, 400 მ. –52.0; ტაბიძის ქუჩა, 500მ–86.0; რუსიას ქუჩის გაგრძელება, 100მ.–19.0; სანკ–პეტერბურგის ქუჩა, 850მ.–131.0; გუნიას ქ. 125 მ.–17.0; თავისუფლების ქ. 180მ–25.0; თ.კანკიას ქ.175მ–24.0; ვ. განგიას ქ. 130მ.–21.0; გიორგი ბრწყინვალეს ქ. 360მ. 57.0; დავით აღმაშენებლის პირველი ჩიხი 185მ.–31.0; ხორავას შესახვევი 125 მ. –17.0; ქობალავას ქ. 265მ–41.0; ტაბიძის ქუჩიდან სამშობიარო სახლამდე, 210მ. –32.0.



მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზის ასფალტირებაცაა გათვალისწინებული, რომლისთვისაც გამოყოფილია 47 ათასი ლარი.

ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია ჭავჭავაძის ქუჩაზე (კაშიბაძის ქუჩიდან კოლხეთის ქუჩამდე) ასფალტბეტონის საფარის, კიუვეტების, ელ. განათების ლამპიონებისა და ტროტუარების მოწყობა, რისთვისაც გამოყოფილია 1200.0 ათასი ლარი.

რაც შეეხება სასოფლო გზებს, ფოცხოს თემის ცენტრალური საავტომობილო გზის ასფალტირებისთვის გათვალისწინებულია 400.0 ათასი ლარი. ასფალტის საფარი უნდა დაიგოს ჭალადიდის ცენტრიდან ხორგის გავლით თეკლათის თემის მიმართულებით, რისთვისაც გაწერილია 1500.

ჩვენ გადმოგვცეს ასევე ძლიერი ქარისგან დაზიანებული შენობებისა და სახურავების ნუსხა, სარეაბილიტაციო ტროტუარებისა და მრავალსართულიანი ბინების კეთილმოსაწყობი ეზოების ნუსხაც. ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს შეუძლია კონკრეტული ინფორმაცია მიიღოს ამ საკითხებზე სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

# სენაკში სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერების დარიგება დაიწყო

**დასაწყისი მეორე გვერდზე**

მიძლია ერთი ტომარა სასუქი ვიყიდო მხოლოდ. როგორც ამბობენ, ერთი ტომარა სასუქი ღირს 40 ლარი. ბარათი 50 ლარიანია. მე 3000 მ მიწა მაქვს. რას მეყოფა ერთი ტომარა? შარშანდელი ჩემი ვაუჩერი შეჭამა მთავრობამ. სად არ მივედი, მაგრამ არანაიარი შედეგი არ მოყვა ჩემს სიარულს. ტყუილად გავნერვიულდი. შესაბამისად არც მქონდა სიმინდი შარშან. 83 წლის ქალი დავდივარ აქეთ-იქით. შემიძლია ამდენი!" სოფელ გოლასკურის მკვიდრი ლუდუკ თოლორდავა, რომელსაც გასულ წელს ვაუჩერი არ მიუღია, ჩვენ გვთხოვს მიზეზის გარკვევას: „წელს მივიღე სახნავი ვაუჩერი, შარშან-არა. მხოლოდ სახნავი ვაუჩერი მივიღეთ წელსაც, სასუქი არ მოუციათ. 1 ჰექტარი მაქვს მიწის ფართობი, 6000 ჩაუწერიათ. არ ვიცი, რატომ. იქნებ შენ მაინც გაარკვიო, სად წავიდა ჩემი შარშანდელი ვაუჩერი?"

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მივმართეთ გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსს დალი ქაჩიბაიას. მისი განმარტებით, არსებობს ორი სახის ბარათი - სასოფლო-სამეურნეო, ანუ სახნავი ბარათი და აგრობარათი, რომელზეც დარიცხულია 50 ქულა, რაც შეესაბამება 50 ლარს. ამ აგრობარათით ბენეფიციარს შეუძლია შეიძინოს მხოლოდ სასუქი და შხამქიმიკატები. სამუშაო იარაღების შეძენა, შარშანდელისგან განსხვავებით, არ შეუძლია. ის ბენეფიციარები, რომელთაც 1,25 მ- ზე მეტი მიწის ნაკვეთი აქვთ, არანაირი სახის ბარათს არ მიიღებენ. ზემოთ აღნიშნული ორივე ბარათი განკუთვნილია მხოლოდ იმ კატეგორიაზე, რომელსაც 1,25მ, ან უფრო ნაკლები მიწის ფართობი აქვს. „სენაკის მუნიციპალიტეტში მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში სულ სიაში გვყავს 10 215 ბენეფიციარი. უკვე ჩამოსულია სახნავი ბარათი 8 926 ბენეფიციარზე. ასევე ჩამოსულია 3000-მდე აგრობარათი, რომელიც ბენეფიციარს შეუძლია ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში აიღოს. აგრობარათზე დარიცხულია 50 ქულა იმათვის, ვისაც 0-დან 0,25-მდე მიწის ფართობი აქვს. ხოლო ვისაც აქვს მრავალწლიანი კულტურების ნაკვეთი ერთ ჰექტრამდე, მათ დაერიცხებათ 140 ქულა, ე.ი 140 ლარის ღირებულება ამ ციტრუსოვანი მცენარეების, თხილის, ხილის შესაწამლად და ა.შ. ფართობის მიხედვით მერყეობს ეს ქულები. მოკლედ, ბენეფიციარების ორი კატეგორია არსებობს, ვისაც აქვს მიწის ნაკვეთი 0,25- მდე მათ მიეცემათ მხოლოდ აგრობარათი, ხოლო დანარჩენს 1,25-მდე მიწის ფართობის მქონეებს, სახნავი ბარათიც მიეცემათ. როგორც სამინისტროს წარმომადგენლებმა გვითხრეს, წელს სასუქი 40 ლარზე მეტი არ ეღირება. დარიგებულია 90% -მდე სახნავი ბარათი. პრობლემატურად რჩება ის კატეგორია, რომელნიც ცხოვრობენ თბილისში, ან გასული არიან ქვეყნიდან. 15 აგვისტომდე მათ აქვთ უფლება, ეს ვაუჩერები აიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაუჩერები ბრუნდება სამინისტროში. რაც შეეხება იმას, რატომ ვერ მიიღო გარკვეულმა კატეგორიამ შარშან ვაუჩერები, ეს გამოწვეული იყო ტექნიკური მიზეზებით, გაორების გამოც, პირადობაში აღნიშნული სახელის უზუსტობის გამო ჩვენს მიერ გაგზავნილ სიებში. ზოგს სხვა სახელი უწერია პირადობაში, ვიდრე მას რეალურად ჰქვია და ა.შ. მიწის საჯარო რეესტრში გატარება -არ გატარების გამო პრობლემა არ იქმნება ამ პროექტის ფარგლებში"-განგვიმარტა დალი ქაჩიბაიამ.

ერთი სიტყვით სოფლის დახმარების პროექტი წელსაც გრძელდება და იქნება თუ არა ყველა გლეხი ამ პროექტით კმაყოფილი, შემოდგომაზე გამოჩნდება.

# ელენე გვაზავას ოჯახის გაჭირვება და წინასაარჩევნო დაპირებები, რომლებიც არ შესრულდა

**ელზა შონია**
**ფოთი**



ელენე გვაზავას შვიდსულიანი ოჯახი უკვე წლებია უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს და ყოველთვიურად სახელმწიფო დახმარებას 348 ლარის ოდენობით იღებს. ეს თანხა ამ ოჯახის ერთადერთი შემოსავალია, რითაც ასე თუ ისე თავის გატანას ახერხებენ, მაგრამ მათი პრობლემა აქ არ მთავრდება. საქმე ის არის, რომ მცირეწლოვანი ბავშვები უკვე რამდენიმე წელია, ნახევრად გადახურულ სახლში ცხოვრობენ. წინა ხელისუფლება დაეხმარა ოჯახს ნაშალი სამშენებლო მასალით და სახლი აუშენა, თუმცა გადახურვა ვერა და ვერ მოხერხდა. წინასაარჩევნოდ გვაზავების ოჯახს მაჟორიტარობის კანდიდატი ეკა ბესელია და უმრავლესობის წარმომადგენელი ირაკლი ალასანია სტუმრობდნენ და დახმარებასაც დაპირდნენ, მაგრამ დანაპირები დღემდე არ შესრულებულა. ელენე გვაზავა თავად გვიყვება ოჯახის უკიდურეს გაჭირვებას; "სანამ "ოცნება" სათავეში მოვიდოდა, ჩემს სახლში იყვნენ ქალბატონი ბესელია და ირაკლი ალასანია, დამპირდნენ, როგორც კი მოვალთ მთავრობაში, ყურადღებას მოგაქცევთ, ასეთი მძიმე მდგომარეობა არსად გვინახავსო. ვიცი, რომ უცებ არ კეთდება ყველაფერი, მაგრამ ამ დაპირებიდან ერთი წელი გავიდა. კედლებიდან ხის ბაყაყები ცვივა, იქნებ როგორმე დამეხმარონ და სახლის მეორე ნახევრის გადახურვა შევძლოთ, რომ როგორმე იატაკიც დავაგოთ, დანარჩენი იქნებ მოვახეროთ თავად როგორმე. სად დაიკარგა ქალბატონი ბესელიას სიტყვები, რომ დამპირდა დახმარებას, წერილობითაც მივმართე მერიას, საიდანაც მომივიდა პასუხი, რომ მიიღეს ჩემი განცხადება, მაგრამ დახმარებას ვერ ახერხებენ, დაფინანსება არ გვაქვსო. 18 წლის გოგო დამიქვრივდა, ბავშვს ჩვენ ვზრდით, იმის პირობები არ გვაქვს, ვაბანაოთ ბავშვი. შეშასაც დაგვპირდნენ, მაგრამ მერე ისიც არ მოგვცეს. ასე ტყუილში ამყოფებენ ხალხს? რომ ამტყუნებდნენ ნაციონალებს, ისინი რაღაცით მაინც დამეხმარნენ, უსახური შენობა დაანგრიეს და მასალები მომცეს, წინა მთავრობების დროს თვეში ერთხელ მაინც ღებულობდნენ ჩემისთანა გაჭირვებულ ხალხს, ახლა კი პასუხს ვერავისგან მიიღებ, გამოგვიყოს ერთი დღე და მოგვისმინოს, როცა ხმა მივეცით, ხომ ვიყავით მაშინ საჭირო? ახლა ჩვენ გვჭირდება, რა ვქნა აღარ ვიცი, რა გზას დავადგე, თავი როგორ მოვიკლა, გოგოებს დავამთავრებინე წვალებით კოლეჯი, მაგრამ მაღაზიაში რომ იმუშაონ, ის ადგილიც ვერ ვუშოვე. დღეგამოშვებით დადიან სკოლაში უმცროსები იმიტომ, რომ ფეხსაცმელი არ აქვთ, ესაა ცხოვრება? "

გასაგებია, რომ მთავრობას ყველა გაჭირვებულის ერთდროულად გაჭირვებიდან ამოყვანა ძალიან უჭირს და იმ გაჭირვებული ადამიანებისთვისაც ძნელია მუდამ მთავრობის დახმარების იმედად ყოფნა, მაგრამ წინასაარჩევნოდ თვალაცრემლებულად მიცემული დაპირება ასეთ გაჭირვებულ ოჯახს ნამდვილად უნდა შეუსრულო. არა გვგონია ასეთი ძნელი იყოს ამ ერთი კონკრეტული ოჯახის პრობლემის მოგვარება ქალაქისათვის. ელენე გვაზავას ოჯახი ამ დაპირების ასრულების მოლოდინში უკვე ერთი წელია ისევ აგრძელებს ცხოვრებას ნახევრად გადახურულ სახლში, "მეოცნებე" მთავრობაში კი მათი გაჭირვების მოსასმენადაც ჯერ არავის სცალია, თუმცა მალე არჩევნებია...

# ,,ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია.. ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია, ამის შემხედვარემ სიცოცხლეზე იფიქრო,,

**თეონა ჯანაშია**
**სენაკი**

ეს გახლავთ ამონარიდი იმ წერილიდან, რომელიც ჟიული შარტავამ სოხუმის დაცემის წინა დღეს, 26 სექტემბერს დაწერა. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე 1993 წელს დახვრიტეს აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმის დაცემის დღეს. სიკვდილის შემდეგ ჟიული შარტავას მიანიჭეს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება. თავისი ცხოვრების განმავლობაში იგი სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, 1993 წლის ივნისში, რუსულ და აფხაზურ პოლიტიკურ წრეებში ფართო კავშირების მქონე შარტავა ედუარდ შევარდნაძემ დანიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ.

ნამდვილმა ქართველმა და პატრიოტმა სოხუმის დაცემის დღეს არ დატოვა ქალაქი. აფხაზურმა სეპარატისტულმა დაჯგუფებამ ის და მისი თანამებრძოლები ტყვედ აიყვანა და დახვრიტა. მოგვიანებით შარტავას ცხედარი ქართულ მხარეს გადაეცა. საქართველოს ეროვნული გმირი დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. 2004 წელს, სიკვდილის შემდეგ, დაჯილდოვდა ეროვნული გმირის ორდენით".

ჟიული შარტავა ყოველი ქართველისთვის ტკივილი და სიამაყეა ერთდროულად. 7 მარტს მას 70 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის ორგანიზებით, აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას იუბილესადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. ნაჩვენები იყო ჟიული შარტავას ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა, რომლის პარალელურად ტექსტს კითხულობდა კულტურის სამსახურის თანამშრომელი თეა გრიგოლია. დარბაზში მსხდომნი ცრემლებს ვერ იკავებდნენ ყველასთვის კარგად ცნობილი კადრების ჩვენების დროს.

ამ კადრებში ასახულია სოხუმში, მთავრობის სახლის წინ დახვრეტილი ქართველი ჯარისკაცები, რომლებმაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ მიატოვეს აფხაზეთი და არც აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ყაბარდოელის მონათხრობიდან, ქართველ ტყვეთა ნაწილი მინისტრთა საბჭოს წინ დახვრიტეს, ხოლო დანარჩენები ჟიული შარტავასთან ერთად ანქვაბის ბრძანებით „რაფით" გაიტაცეს და რკინიგზის ლიანდაგთან დახვრიტეს. იმასაც ამბობენ, რომ ამ მომენტს ანქვაბი თავადაც ესწრებოდა. ჟიული შარტავასთან ერთად დახვრიტეს სოხუმის მერი,წარმოშობით ასევე სენაკელი, გურამ გაბისკირია. ყაბარდოელ მოხალისეთა ვერსიით, ქართველი ტყვეები აფხაზთა დიდმა ჯგუფმა გაიტაცა.

საღამოს ესწრებოდნენ სენაკის სამხედრო ბაზის ჯარისკაცებიც. სიტყვით გამოვიდა სენაკის მე–2 ქვეითი ბრიგადის უფროსის თანაშემწე, პოლკოვნიკი ჯიმშერ რუხაძე. საღამო მიყავდათ მსახიობებს ეკა კოღუასა და ელგუჯა ნოდარიძეს. სიტყვით გამოვიდა ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი ლალი გულუა. შესრულდა პატრიოტული სიმღერები. საღამო დაამშვენა ხალხური სიმღერების სახელმწიფო ანსამბლ „ეგრისისა" და სალომე ბერიშვილის, ლაშა თოლორდავასა და სოფო რაზმაძის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა. „კოლხურმა ტრიომ" აფხაზური სიმღერაც კი შეასრულა.

საღამოს დასასრულს ჟიული შარტავა მოიგონეს თბილისიდან ჩამოსულმა სტუმრებმა - ჟიული შარტავას თანაკლასელმა ზურაბ ჯორჯიკიამ და ჟიულის მეგობარმა, ლეგენდარულმა სპორტსმენმა, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რომან რურუამ. როგორც ზურაბ ჯორჯიკიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „ჟიული მხოლოდ ეროვნული გმირი კი არა, ის სენაკისთვის სათაყვანებელი და თითოეული სენაკელისთვის უძვირფასესი, მისაბაძი პიროვნებაა დღესაც. მისი გმირობის ნაკვალევზე ბევრმა აჩვენა საგმირო საქმეები. მისი გმირობა მაგალითი იყო იმ ჯარისკაცებისთვის, რომლებიც შემდგომშიც განაგრძობდნენ ბრძოლას აფხაზეთის დაბრუნებისა და განთავისუფლებისათვის". როცა მას ვთხოვეთ, როგორც ჟიული შარტავას



თანაკლასელი და ოჯახის მეგობარი, ხომ არ ფლობს რამე მნიშვნელოვან ინფორმაციას ჟიული შარტავას ცხოვრების ბოლო წუთებზე, გვითხრა: „როცა გაბისკირიას უთხრეს, დაიჩოქეთო,მან თქვა - ნიკაგდა ვ ჟიზნი! ჟიულიმ - ნიკაგდა. ჟიული უნდა წაეყვანათ გუდაუთში, ეს იყო არძინბას ბრძანება. ჩერქეზებმა, რომლებიც აფხაზებს ეხმარებოდნენ, წაართვეს აფხაზებს ჟიული და გაიტაცეს. შური იძიეს. ფეხში დაჭრეს, ისე დააჩოქეს. „ვოტ ვოზმი გრუზისკუიუ ზემლიუ, კუშაი!" უთხრეს და მიწა პირში ჩასჩარეს. მერე კი, დახვრიტეს. არძინბამ ეს რომ გაიგო, ტელევიზორი აიღო და ისროლა. მას მაშინდელი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პასტუხოვისგან ჰქონდა ბრძანება, შარტავა არ დაეხვრიტათ, რადგან პასტუხოვი დიდ პატივს სცემდა ჟიულის და მეგობრობდნენ".

„მე რა უნდა ვთქვა ჟიულიზე იმაზე მეტი, რაც მთელმა საქართველომ იცის? თითქმის ყოველდღიური შეხება მქონდა მასთან. მე ვსწავლობდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ჟიული ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და,აქედან გამომდინარე, გვქონდა შეხვედრები ადგილობრივ თუ საკავშირო მასშტაბით. ვთანამშრომლობდით, ვმეგობრობდით. ჟიული რომ ყოფილიყო დღეს პოლიტიკაში, ჩვენ არ ვიდგებოდით იმ პრობლემების წინაშე, რა პრობლემების წინაშეც ვდგავართ. ჟიული როცა დანიშნეს აფხაზეთში, უკვე დაგვიანებული იყო. აფხაზეთი უკვე დაკარგული გახლდათ. გვიან მოაგონდათ ჟიული მაშინდელ პოლიტიკოსებს. მას ძალიან კარგი ალღო გააჩნდა და საჭირო ურთიერთობებიც ჰქონდა, დიდ პატივსაც სცემდნენ. ჟიული იყო გამორჩეული პოლიტიკოსი, რომელსაც შეეძლო მართვა. სამწუხაროდ, არც ერთი მმართველი არ გამოგვადგა დღემდე"-გვითხრა რომან რურუამ.

ჟიული შარტავა გახლავთ თანამედროვე საქართველოს დიდი ეროვნული გმირი, რომლის გმირობა და სამშობლოსადმი სიყვარული მაგალითი იქნება მუდამ მომდევნო თაობებისათვის.

# პროფკავშირი ,,საჯარო სამსახურის შესახებ,, კანონში ცვლილებებს ადამიანის შრომის უფლების დარღვევად აფასებს

პროფკავშირი „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში ცვლილებებს ადამიანის შრომის უფლების დარღვევად აფასებს საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული კავშირი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს , რომლითაც, 2014 წლის არჩევნების შემდეგ თვითმმართველობის ყველა მოხელე დროებით მოვალეობის შემსრულებლად ჩაითვლება, ადამიანის შრომის უფლების უხეშ დარღვევად აფასებს.

როგორც საჯარო მოხელეთა პროფესიული კავშირის განცხადებაშია ნათქვამი,აღნიშნული ცვლილებების შედეგად, შესაძლებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული საჯარო მოხელეთა დიდი ნაწილი, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უსამსახუროდ დარჩეს.

"გასათვალისწინებელია, ისიც რომ ქვეყანაში არ არსებობს უმუშევრობის შემწეობა. ფაქტია, ცალსახად ილახება ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლება, როგორიცაა შრომის უფლება, რომელიც დაცული და აღიარებულია არა მარტო საქართველოს კანონმდებლობით, არამედ მთელი რიგი საერთაშორისო აქტებით, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის სოციალური ქარტია, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური კონვენციები, რომლის დაცვაც სახელმწიფოს უპირობო ვალდებულებას წარმოადგენს", - აცხადებენ საჯარო მოხელეთა პროფესიულ კავშირში.

ამასთან,მათი უკმაყოფილება იმ ფაქტსაც უკავშირდება, რომ "ცვლილებები კანონში შეტანილი იქნა დაინტერესებული მხარეების ყოველგვარი ჩართულობის გარეშე"

"აღნიშნულს წინ არ უძღვოდა რაიმე სახის წინასწარი კონსულტაციები საჯარო მოსამსახურეთა უფლებების დამცველ ორგანიზაციასთან, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წელს რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №151 კონვენციის კარი 4, მუხლი 7, „სახელმწიფო სამსახურში დასაქმების პირობების განსაზღვრის პროცედურების და ორგანიზების უფლებების დაცვის შესახებ", - განმარტავენ საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირში.

აღნიშნულთან დაკავშირებით კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმის მიზნით,საქართველოს საჯარო მოხელეთა პროფესიული კავშირი 27 თებერვალს, 12:00 საათზე, პროფესიული კავშირების საკონფერენციო დარბაზში ადამიანის უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან შეხვედრას გამართავს.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 5 თებერვალს „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ჩაითვლება დროებით მოვალეობის შემსრულებლად და ისინი უფლებამოსილებას განახორციელებენ შესაბამისი თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე. აღნიშნულ თანამდებობებზე პირები კონკურსის წესით უნდა დაინიშნონ არაუგვიანეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 120-ე დღისა.

http://www.interpressnews.ge/

# პარლამენტში განხილვის პროცესში, კოდექსში რამდენიმე პრინციპული ცვლილება აისახა

saqarTvelos parlamentma adgilobrivi TviTmmarTvelobis kodeqsze muSaoba daasrula da mesame mosmeniT daamtkica. kodeqsis proeqti da misgan gamomdinare, daaxloebiT 25 sakanonmdeblo cvlilebis proeqti deputatebma 77 xmiT, 7-is winaaRmdeg, ukve miiRes.

~adgilobrivi TviTmmarTvelobis kodeqsis~ proeqtis parlamentSi ganxilvis procesSi, masSi ramdenime principuli cvlileba aisaxa.

kerZod, mTavroba da parlamenti SeTanxmda, rom sakrebulos mier pirdapiri wesiT arCeuli merisa Tu gamgeblisTvis undoblobis gamocxadebisas, sakrebulos Sesabamisi gadawyvetilebis sasamarTloSi gasaCivrebis SemTxvevaSi, undoblobagamocxadebul gamgebelsa da mers sasamarTlo ganxilvis dasrulebamde uflebamosileba ar Seuwydeba da xelaxali arCevnebi ar dainiSneba.

SegaxsenebT, rom kodeqsSi cvlilebis Setanamde sakrebulos SeeZlo meris da gamgeblis undoblobis gamocxadebis procesi yovelgvari safuZvlis gareSe daewyo, rasac arasamTavrobo organizaciebis da politikuri partiebis warmomadgenlebi merebis legitimaciis xarisxis SezRudvad da politikur berketad afasebdnen. Tumca, cvlilebebis Semdeg, kodeqsis Canaweric ar aris maTTvis srulad misaRebi, radgan, sakrebulos es berketi kvlav rCeba.



“არასამთავრობო ორგანიზაციები სხვა რამეს ვითხოვდით. საკრებულოს არ უნდა ჰქონდეს პირდაპირ არჩეული მერის უმრავლესობით გადაყენების უფლება, რადგან ეს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებია. ხალხს რატომ არჩევინებენ მერს, თუ საკრებულოს მისი გადაყენება შეუძლია? თუ საკრებულოს შეუძლია უნდობლობის გამოცხადების პროცედურა დაიწყოს, ეს იმას ნიშნავს, რომ არჩეული მერი ფაქტობრივად არ გვეყოლება ქვეყანაში. არჩევნების შედეგად ვიღებთ მერს, რომლის გადაყენებაც ყველას შეუძლია,“ – ამბობს ~saqarTvelos adgilobrivi TviTmmarTvelobis erovnuli asociaciis~ aRmasrulebeli direqtori, evropis sabWos adgilobrivi TviTmmarTvelobis qartiis damoukidebel eqspertTa jgufis wevri daviT melua.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებებს, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირი უნდა ყოფილიყო და გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებს აერთიანებდა, შეიცვალა.

არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების ნაწილის განცხადებით, მუნიციპალიტეტთა გაერთიანებები სეპარატიზმის საფრთხეებს შეიცავდა. ამის შესახებ საქართველოს პატრიარქმა თავის ქადაგებაშიც აღნიშნა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის წევრებს განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ, პარლამენტში გამოთქმული შენიშვნები მაინც გაითვალისწინეს და აღნიშნული გაერთიანების ნაცვლად, სამხარეო საკონსულტაციო საბჭო ჩამოყალიბდება, რომელიც გუბერნატორის საკონსულტაციო, სარეკომენდაციო ორგანო იქნება და არ ექნება უფლება, მთავრობის დონეზე სადავო გახადოს გუბერნატორის გადაწყვეტილება. გარდა ამისა, თავდაპირველი ვარიანტით, მას შეეძლო გუბერნატორის გადაყენება, ახლა ესეც არ შეუძლია. ამასთან, მუნიციპალიტეტების რეგიონული გაერთიანებებს შეეძლოთ ბიუჯეტზე ზემოქმედება იმ ხარჯების ფარგლებში, რომლებიც კონკრეტული პროექტებისთვის გამოყოფილი აქვს გუბერნატორს ცენტრალური მთავრობისგან თავისი უფლებამოსილების გასახორციელებლად, ახლა საკონსულტაციო საბჭოს ეს უფლებამოსილებაც არ აქვს. რაც შეეხება მის შემადგენლობას, საკონსულტაციო საბჭოში შევლენ გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების მერები, გამგებლები, საკრებულოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები.

ამასთან, პარლამენტში მიღებული გადაწყვეტილებით, დასახლების საზოგადოებრივი საბჭოები არ ჩამოყალიბდება, რაც კოდექსის პროექტით იყო გათვალისწინებული. გადაიდო ორი ინსტიტუტის – საზოგადოებრივი საბჭოსა და თბილისის უბნის საბჭოების ჩამოყალიბების საკითხი.

saqarTvelos regionuli ganviTarebis da infrastruqturis ministris pirveli moadgilis Tengiz SergelaSvilis TqmiT, “საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივა მთავრობამ 2015 წლის 1 იანვრამდე უნდა მოამზადოს, შემდეგ კი უკვე პარლამენტზეა დამოკიდებული მას რა ვადებში მიიღებს და როდის დაიწყება ამოქმედება. ამ საკითხზე მუშაობა აუცილებლად გაგრძელდება“.

გარდა ამისა, პარლამენტის მიერ დამტკიცებული კოდექსის მიხედვით, თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილია თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის გაზრდა. რეფორმის პირველ ეტაპზე, გათვალისწინებულია არსებული ხუთი თვითმმართველი ქალაქისთვის შვიდი თვითმმართველი ქალაქის დამატება და მათი რაოდენობის 12-მდე გაზრდა, სადაც მერები და მუნიციპალიტეტების გამგებლები პირდაპირი წესით აირჩევიან. კოდექსის პროექტით შეთავაზებული წესი, რომელიც ითვალისწინებდა თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭებას ყველა იმ ქალაქისათვის, რომელთა რაოდენობა 15 000 მოსახლეს აღემატება, შეიცვალა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა – პირველ ეტაპზე, არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქთან ერთად, თვითმმართველ ქალაქად ის შვიდი ქალაქი განისაზღვრა, სადაც გუბერნატორების ადმინისტრაციებია განთავსებული.

“ჩვენ ვერ დავემსგავსებოდით “ნაციონალურ მოძრაობას“, რომელმაც სამ დღეში გადაწყვიტა 1004 თვითმმართველი ერთეულის გაუქმება და მის ნაცვლად 69-ის შექმნა. ამიტომ, ჩვენ კანონში განვსაზღვრეთ პროცესი და აღვნიშნეთ, რომ 7 ქალაქის დამატება მომხდარიყო ამ ეტაპზე, ხოლო დანარჩენ ქალაქებს თვითმმართველი სტატუსი ეტაპობრივად მინიჭებოდა. გაწერილია სამთავრობო კომისიის, მთავრობის და პარლამენტის როლი და ორ-სამ წელიწადში მივიღებთ ოპტიმალურ სურათს, რამდენი თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი გვექნება. თვითმმართველობის კოდექსის მიღება რეფორმის დასასრული არ არის, ეს მხოლოდ დასაწყისია,“ – ამბობს თენგიზ შერგელაშვილი.

ამჯერად პარლამენტის დღის წესრიგში საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების საკითხი დგას, რომელიც საკუთრივ ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებულ თემებს მოიცავს.

კერძოდ, განსასაზღვრია მერების და გამგებლების არჩევის ბარიერი, რაც ჯერჯერობით არასამთავრობო ორგანიზაციების, ოპოზიციური პარტიებისა და მთავრობის პოლემიკის საგნად კვლავ რჩება. არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი და არასაპარლამენტო ოპოზიცია ითხოვს, რომ ბარიერი 50%-ით განისაზღვროს, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლები ამას არ ეთანხმებიან და ამბობენ, რომ მერების არჩევის შემთხვევაში 40%, ხოლო გამგებლების არჩევისას 33%-იანი ბარიერი სავსებით საკმარისია.

განხილვის თემაა “საარჩევნო კოდექსის“ 140-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შემადგენლობა აირჩევა.

საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლი, შესაძლოა, შემდეგი რედაქციით დამტკიცდეს:

“მუხლი 140. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შემადგენლობა:

1. თვითმმართველი თემის საკრებულო შედგება პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, რომლებიც შედის ამ თვითმმართველი თემის შემადგენლობაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისგან.

2. თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქ. თბილისისა) საკრებულო შედგება:

ა) პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისაგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს;

ბ) პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისაგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 75 000-ს.“

2011 წელს მიღებულ ცვლილებებში კი 140-ე მუხლი შემდეგი სახით იყო ჩამოყალიბებული - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს შემადგენლობა:

1. მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, რომლებიც შედის ამ მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისაგან.

2. თვითმმართველი ქალაქის საკრებულო შედგება:

ა) მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს;

ბ) მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 75 000-ს.

saqarTvelos parlamentis vice-spikeri da interfraqciuli jgufis Tavmjdomare zviad ZiZiguri Tvlis, rom saarCevno kodeqsis 140-e muxlis cvlileba, arasaparlamento opoziciis warmomadgenlebs arCevnebSi Sansebs uzrdis:

“დღეს არის პროპორციული წესით არჩეული 10 დეპუტატი ყველა საკრებულოში მუნიციპალიტეტების დონეებზე, მაგრამ არა თვითმმართველობებში. ახალი პროექტით, 15 დეპუტატი შემოდის. აქამდე პროპორციულის და მაჟორიტარულის თანაფარდობა იყო მაჟორიტარების სასარგებლოდ, რაზეც მრავალი პარტია, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია მიუთითებდა – მათი აზრით, აუცილებელი იყო, პროპორციული სიით არჩეული დეპუტატებისა და მაჟორიტარი დეპუტატების თანაფარდობის შეცვლა. აქედან გამომდინარე, მთელ საქართველოში მაჟორიტარულ-პროპორციულ დეპუტატებს შორის იყო ათასი 600-ზე მაჟორიტარების სასარგებლოდ. ჩვენ მიერ შემოტანილი ცვლილებების შემდეგ, ეს საკითხი რეგულირდება და ათასი – ათასზე, ანუ ერთი-ერთზე იქნება. ეს ამავე დროს იწვევს ბუნებრივი ბარიერის შემცირებას 10%-დან 6%-მდე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პროპორციული ბარიერის ქვედა ზღვრის შემცირება 5-დან 4%-მდე მოხდება, რაც არასაპარლამენტო პარტიებისთვის შანსების ზრდას იწვევს, რათა მათ თავიანთი წარმომადგენელი ჰყავდეთ საკრებულოში. ამ ცვლილებას ინტერფრაქციულ ჯგუფში შემავალი არასაპარლამენტო პარტიებიც ემხრობიან. ამიტომ, პარლამენტის ბიუროზე გადაწყდება რა სისწრაფით და როდის მოხდება ცვლილებების განხილვა პარლამენტში“, – ამბობს ძიძიგური.

მოამზადა საქართველოს მონიტორინგის ცენტრმა (GMMC), ფონდის – “ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.
ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

# ჭადრაკში სამეგრელოს ტურნირი დასრულდა

**მარი ჯავახია**
**ფოთი**

გასულ კვირას ზუგდიდში ჭადრაკში დასრულდა 8 და 12 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი. მასში სამეგრელოს რეგიონის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. ჩემპიონატზე საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: 12 წლამდე ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი 9 შესაძლებლობიდან 8 ქულით გიორგი კუხალეიშვილმა დაიკავა (ზუგდიდი), მეორე ადგილზე 6 ქულით გუბაზ ქუხილავა გავიდა (ზუგდიდი), მესამე ადგილის მფლობელი 5,5 ქულით დავით ქვარცხავა გახდა (სენაკი); 12 წლამდე გოგონათა შორის 8,5 ქულით პირველი ადგილი მაია ბეჭვაიამ დაიკავა (ზუგდიდი), მეორე ადგილზე 7,5 ქულით ელენე გოგოხია გავიდა (ზუგდიდი), მესამე ადგილის მფლობელი 6,5 ქულით ელენე წოწონავა გახდა (ფოთი); 8 წლამდე ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი 9 შესაძლებლობიდან 9 ქულით ლაშა არველაძემ დაიკავა (ფოთი), მეორე ადგილზე თეიმურაზ კვიკვინია გავიდა (ხობი), მესამე ადგილის მფლობელი 6 ქულით გიორგი სიჭინავა (სენაკი) გახდა. 8 წლის გოგონათა შორის პირველ ადგილზე ნია დანელია (ფოთი) გავიდა, მეორე იყო ანა-ვიქტორია კვაშილავა (ფოთი), ხოლო მესამე ადგილზე კი ლიზი კაკალია (ფოთი) გახდა.



# სპორტი

## გიორგი მანჯავიძე–ვიტალი ვახანიას ტურნირის გამარჯვებული

რამდენიმე დღის ინ, სენაკში კრივში ვიტალი ვახანიას ტურნირი გაიმართა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქებიდან მოკრივეები მონაწილეობდნენ. ტურნირში გამარჯვება ფოთელმა გიორგი მანჯავიძემ მოიპოვა. მან




პირველი ადგილი და საუკეთესო ტექნიკისათვის თასი აიღო.

ფოთელი მოკრივე ამჟამად აქტიურად ემზადება საქართველოს პირველობისათვის, რომელიც თელავში 26-30 მარტს ჩატარდება, სადაც შეირჩევა ის მოკრივე კადეტები რომელნიც გაემგზავრებიან ევროპისა და მსოფლიო პირველობაზე. 1998 წელს დაბადებული გიორგი მანჯავიძე უკვე არის საქართველოს ჩემპიონი, ევროპის ვერცხლის მფლობელი და მსოფლიო პირველობის მონაწილე. მის ასეთ წარმატებულ სპორტულ ფორმაზე წლებია ზრუნავს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი რუბენ ქიქავა.

# დაე მუდამ იბედნიერონ დედებმა

**თეონა ჯანაშია**
**სენაკი**

სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით, 6 მარტს კინო-თეატრის დარბაზში კონცერტი გაიმართა, რომელშიც კულტურის ცენტრთან არსებული ხალხური და საესტრადო ანსამბლები, ასევე კულტურის ცენტრის თანამშრომელთა შვილები მონაწილეობდნენ.

კონცერტი გახლდათ სასიამოვნო,მხიარული და თბილი, როგორც დედას და მისადმი გამოხატულ სიყვარულს შეესაბამება. დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეგას" გამოსვლამ, რომლის ხელმძღვანელები ეკა გაბრავა და მამუკა მესხიშვილი არიან.

მაყურებლის წინაშე წარსდგა ხალხური სიმღერების ანსამბლი „ეგრისი", რომელიც როგორც ყოველთვის ხიბლავს მაყურებელს თავისი უნიკალური ხმებით და შესრულების მანერით. რამდენიმე სიმღერა შეასრულა „სენაკის ახალგაზრდულმა კვარტეტმაც". მოსწავლეებს შორის აქტიურობით გამოირჩეოდა კერძო სკოლა „მარიოტას" მე–7 კლასის მოსწავლე საბა გუგუნავა. საესტრადო სიმღერები საამო მოსასმენი იყო მეგი ცისკაძისა და მარიამ კინწურაშვილის შესრულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია პატარა ვირტუოზის გიორგი ცისკაძის გამოსვლა, რომელმაც ლელა მიქაბერიძესთან ერთად არაჩვეულებრივად შეასრულა ბოჩელის „კონტე–პარტირო".

„ყველა დედას ვულოცავ დედის დღეს. ბედნიერი ვარ, რომ მივიღე ამ კონცერტში მონაწილეობა. ბავშვებმა კარგად იცეკვეს და იმ-





ღერეს. დედა ჩემთვის ყველაფერია. ძალიან მიყვარს, ყველაფერს მირჩევნია და ყველა დედას, კიდევ ერთხელ, ვულოცავ ამ დღეს"-გვითხრა კერძო სკოლა-ლიცეუმის მე-8 კლასის მოსწავლემ მეგი ცისკაძემ.

„ძალიან კარგი დღე იყო. ვეცადე, კარგად გამოვსულიყავი და მგონი გამომივიდა. ყველას ვულოცავ ამ თბილ დღეს. დედიკო ძალიან მიყვარხარ და მინდა სულ ჩემს გვერდით იყო"- დედას მიულოცა სკოლა „მარიოტას" მე-8 კლასის მოსწავლემ მარიამ კინწურაშვილმა.

„ დედის დღეს ვულოცავ ყველა ქალბატონს, მომავალ დედებს. ვუსურვებ, ყველა ქალს გამოეცადოს ბედნიერი დედობა. ვულოცავ ყველას გაზაფხულის შემობრძანებას, რამეთუ გაზაფხული აღძრავს ადამიანში აღტაცებას, ვნებას, სიყვარულს, გრძნობას. სიყვარული სუფევდეს ყველა ოჯახში, ყველა ქალბატონის სულში"- ყველა ქალს მიულოცა გაზაფხულის დღესასწაულები კონცერტის წამყვანმა, კულტურის ცენტრის უფროსმა სპეციალისტმა ლარისა გოგუამ.

„ მე მინდა დღევანდელი დღე ყველაზე სათუთ, ყველაზე ძვირფას, ყველაზე დასაფასებელ არსებასდედას - მივულოცო. გაზაფხულის ლამაზ დღეებს ვულოცავ ქალბატონებს. ყველა ხელმძღვანელს გვერდში ამოდგომისა და ასეთი ლამაზი საღამოს მოწყობისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ. დაე მუდამ იბედნიერონ დედებმა. იყოს ლამაზი და სიყვარულით აღსავსე ყველა ქალი"- გვითხრა კულტურის ცენტრის უფროსმა ეკა გაბრავამ.

გაზაფხულის დღესასწაულებს ჩვენი რედაქციის სახელითაც ვულოცავთ ყველა ქალს, ყველა დედას და მშვიდობას, სიყვარულს, ბედნიერებას, სილამაზეს, კეთილდღეობასა და სიკეთეს ვუსურვებ.

# „კოლხეთი-1913„- ერთპიროვნული ლიდერი

გასულ კვირას ფოთის „კოლხეთი 1913"-მა საშინაო მატჩი ლანჩხუთში უმასპინძლა საფეხბურთო კლუბ „წალენჯიხის სკურს" და მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 5-0. ფოთელთა მხრიდან თითო გატანილი გოლით თავი გამოიჩინეს გოგონაიამ, ცხვიტარიამ, გულუამ და ჯიშკარიანმა.

ამრიგად ფოთის „კოლხეთი - 1913" ერთპიროვნულად ლიდერობს ჩემპიონატს.

# მადლობა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ თორსის მცხოვრები ბაბუცა გვაჯაია–ლატარია მადლობას უცხადებს სოფლის ამბულატორიის ექიმს mzia lemonjarias, მისთვის და მთელი სოფლისათვის გაწეული დაუფასებელი ამაგისათვის. დაე, დიდხანს გვყავდე მთელი ჩვენი სოფლის იმედად, ჩვენო თბილო, გულისხმიერო და ნამდვილო გმირო, mzia eqimo!



სამზარეულო

# სასარგებლო რჩევები

## ალადები რომლითაც წონაში იკლებთ

მინდა გაგიზიაროთ უნიკალური ალადების რეცეპტი, რომელიც მათთვისაა განკუთვნილი ვისაც წონაში არათუ მომატების ეშინია, არამედ დაკლებას ცდილობს. ალადები, რომელიც ყაბაყისგან მზადდება, შეიცავს ინგრედიენტებს რომელიც სხეულში ცხიმების წვას ააქტიურებს. ამასთან ერთად გემრიელი, სასარგებლო და ყუათიანი საკვებია. ამგვარი ალადების მოსამზადებლად დაგჭირდებათ, ერთი მოზრდილი ყაბაყი, ერთი სუფრის კოვზი ფქვილი, ცოტაოდენი თხის ან ნებისმიერი სახის ცხიმმოხდილი ყველი, ერთი კვერცხი, სოდა და ერთი სუფრის კოვზი არაჟანი.

momzadebis wesi:

ყაბაყი გაასუფთავეთ ქერქისგან, შემდეგ ოდნავ მოხარშეთ მარილიან წყალში, გადმოდგით, გააცივეთ და დააბლენდერეთ წვრილად დაჭრილ ყველთან, კვერცხთან და არაჟანში არეულ სოდასთან ერთად, ამ ყველაფერს დაუმატეთ ფქვილი, ცოტაოდენი დაფქული პილპილი და ეს მასა ალადის ფორმით შევწვათ ტაფაზე. ყაბაყის ალადებს ძალიან უხდება უცხიმო არაჟანი და პომიდვრის ცოცხალი სოუსი.
გემრიელად მიირთვით

*******************

### ბავარიული სალათა

პატარა თავი კომბოსტო დავჭრათ, მოვშუშოთ ზეთში, ნახევარი სუფრის კოვზი თაფლი და ძმარი მოვასხათ და ვშუშოთ კარგად. 1 ცალი მოხარშული კარტოფილი, 1 კვერცხი მოხარშული, 3-4 ცალი პიკული, 200 გრამი დამარილებული ქაშაყი, მწვანილი. შევურიოთ ყველაფერი ერთმანეთს , მოვაყაროთ ოხრახუსი, კამა, მარილი და სავი პილპილი გემოვნებით.

## რა შეუძლია ქათმის კვერცხს



**ჭრილობის, დაჟეჟილობის, სისხლნაჟღენთების დროს**
კვერცხის ცილა და გული გააცალკევეთ, გადაუსვით დოლბანდზე და ჭრილობაზე შემოიხვიეთ. ერთი დღის შემდეგ დოლბანდი შეგიძლიათ მოიხსნათ.

**დიათეზის დროს**
თეთრი კვერცხი მოხარშეთ, გაფქცვენით, ნაჭუჭი აპკისგან გაწმინდეთ, გააშრეთ და დაფქვით ყავის საფქვავში. ფხვნილი შეინახეთ მინის ან მომინანქრებულ ჭურჭელში. მიეცით ბავშვს ჭამის წინ, დღეში სამჯერ, 10 დღის განმავლობაში.

**ნაოჭების გასაქრობად**
აიღეთ 1 კვერცხი და 1 ჩაის კოვზი თაფლი, აურიეთ ერთმანეთში და წაისვით სახესა და კისერზე. 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ. ერთი კვირის შემდეგ ნაოჭები გაქრება, კანი დაიჭიმება, სუფთა, ელასტიკური და მკვრივი გახდება. ნიღაბი უმჯობესია დილით გაიკეთოთ.

**გაციებისას**
აიღეთ 2 ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი, გაახვიეთ პირსახოცში და მიიდეთ ცხვირზე ორივე მხრიდან. ასე გედოთ გაგრილებამდე. გამოყენებული კვერცხი არ მიირთვათ, გადააგდეთ.

**ნეკნთაშორისი ნევრალგიის დროს**
ცხელი მოხარშული კვერცხი გაგრილებამდე იგორეთ მტკივან ადგილას. ასე გააკეთეთ დღეში ორჯერ. ორ დღეში დაავადებისგან კვალიც აღარ დარჩება. გამოყენებული კვერცხი გადააგდეთ.

**წონის მოსამატებლად**
აიღეთ კვერცხის გული, შეათქვიფეთ 2-3 ჩაის კოვზი შაქარი, სურვილისამებრ, დაამატეთ კაკაო, კარაქის პატარა ნაჭერი, დაასხით ადუღებული რძე. ეს ნაზავი დალიეთ დილით, უზმოზე. ძალიან სასარგებლოა დასუსტებული ბავშვებისთვის.

**ხველის დროს**
აიღეთ 1 ცალი კვერცხი, 1 ჩაის კოვზი თაფლი, 50 გ პორტვეინი ან კაჰორი (ან ნებისმიერი სადესერტო ღვინო), აურიეთ ერთმანეთში და დალიეთ ძილის წინ. იმკურნალეთ, იქნებ სულაც არ დაგჭირდეთ ძვირადღირებული წამლები.

# ანეკდოტები

კახელი ქათამი გურულ ქათამს:
- შენ რა ქათამი ხარ, შენი მოცუცქნული კვერცხი სამი კაპიკი ღირს, ჩემი - ხუთი!
- რა გითხრა, ნენა იცი, - პასუხობს გურული ქათამი,
- ახლა რაცხა 2 კაპიკის გულიზა ტრ....ზე ვერ გევიხევი მე..

*******************

ექვსი თვეა მიხო ამერიკაშია. შევიდა რესტორანში და ქართველ მიმტანს ეუბნება: - ახლა მომიტანე ქვაბში მიმწვარი ლობიო, დაახეთქე მაგიდაზე და მითხარი, - შაცეცხლე!
- რატომ ასე?! - გაოცდა მიმტანი.
- ეე, შინ ყოფნა მამენატრა, ვერა ხვდები, ჯო?

*******************

სვანი რეკავს კომპიუტერულ მომსახურებაში:
– ჩემი კომპიუტერი პრინტერს ვერ ხედავს, მონიტორიც კი მივატრიალე, მაგრამ, მაინც წერს, რომ ვერ ხედავს...
– თითით უჩვენე, თითით...

*******************

სვანს და მოუკვდა და სიძეს თოფი ესროლა.
– რას ერჩი, შე კაცო, მაგას ხომ არ მოუკლავს? – უთხრეს მეზობლებმა.
– და აღარ მყავს და სიძე რა ფეხებად მინდა?!

*******************

გურიაში ნაცების მანქანა რო გადაბრუნდა გურულები
ეგრევე მივარდნენ და დამარხეს. ამასობაში მოვიდა პატრული: –რატო დამარხეთ ეგებ ცოცხალი იყო ვინმე?.
– ქე ემეიკრუსუნა ერთი-ორმა ცოცხლები ვართ ცოცხლებიო,
მარააა ამათი დეიჯერება რამეეე???

*******************

გურულს ეუბნებიან : - შენი წინაპარი მეგრელი იყოო..
გაბრაზებული გურული პასუხობს :
- ფუ ამის დედა ვატიტე, მე ხომ ბედი არაფერში არ მაქვს. ყველას წინაპარი მაიმუნი იყო და რაღა მაინდამაინც ჩემი იყო მეგრელიო...

*******************

პენსიის რიგში მდგომი გურული ქალი მეორეს ეკითხება:
- რაფერ ხარ ცა!
- რაფერ ვიქნები!? პენსია ერთი კაცის მაქ, წნევა კი ორი კაცის

gazeTis xelmomwerTa
sayuradRebod!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს დისტრიბუტორად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები, რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები, მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი, მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი. წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 341417.



R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.